ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1855436

ნომერი: AR1304103

თარიღი : 23.04.2015

გაცემის თარიღი : 28.04.2015

გაცნობის თარიღი : 30.04.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 117 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლალი ჯანუყაშვილი პ/ნ 01025006251
- ყაზბეგი ს. სნო

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა განცხადება და თანდართული საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, დავით აღმაშენებელის გამზ , N 117–

ში, სარეკლამო აბრის მოწყობის საკითხს.
გაცნობებთ, რომ განცხადება არასწორი ნომენკლატურით არის წარმოდგენილი, 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებელის გამზ , N 117–ში არსებულ შენობა-ნაგებობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტები არ ექვემდებარება I კლასის შესაბამის განხილვას. საჭიროა საკითხი შესაბამისი ნომენკლატურით იყოს წარმოდგენილი. აგრეთვე გაცნობებთ რომ საქართველოს მთვრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილებით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის თაობაზე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმების მეშვეობით, მიმდინარეობს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის უფლებამოსილების დელეგირების (გადაცემის) პროცესი. სამსახურს საკითხის განხილვის შესაძლებლობა მიეცემა უმოკლეს ვადებში აღნიშნული პროცესის დასრულების შემდგომ. ბოდიშს გიხდით შეფერხებისათვის.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თქვენი AR1304103, 23/04/2015 განცხადება დარჩა განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.